

საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტი

საცნობარო ფურცელი

საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევების ინსტიტუტი - არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტთან არსებულ სამეცნიერო-კვლევით ერთეული, რომლის მისიას სტუდენტთა პრაქტიკული მომზადების გაძლიერება და ინსტიტუტის პროფილური მიმართულებით სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება წარმოადგენს.

ინსტიტუტის საქმიანობის მიზანი საჯარო მმართველობის სფეროში პრობლემათა იდენტიფიცირება და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების პროცესში სირთულეების დასაძლევად კვლევების განხორციელებაა.

ინსტიტუტის კვლევითი აქტივობები სამ ძირითად მიმართულებაზეა ფოკუსირებული:

- ინოვაციური სახელმწიფო სერვისები, ტექნოლოგიების მართვა და მათი დანერგვის გზები;
- ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის იმპლიმენტაცია;
- საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის მოდელები – პოლიტიკურ–სამართლებრივი გარემო.

ინსტიტუტის პროექტები ეფუძნება საჯარო მმართველობის მექანიზმების მოდერნიზაციის თანამედროვე ინჟინერულ, სამრთლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ მიდგომებს, მოდელირების ხერხებს, აგრეთვე ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და ისტორიულ-კულტურულ მეთოდებს.

ინსტიტუტის დაფინანსებას და მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორობას უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც საინჟინრო-ტექნიკური უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების ლიდერი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა. ის, აგრეთვე ერთადერთია საქართველოში, სადაც საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამის სამივე საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) ფუნქციონირებს. ამ კონტექსტში ინსტიტუტის პროექტები მოწოდებულია:

- ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს შორის წონასწორობის შენარჩუნებით ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალ–ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მდგრადობას;

- ჩაერთოს წარმატებულ საერთაშორისო კვლევებში საჯარო მმართველობის მიმართულებით;

კვლევის შედეგების დანერგვაზე სწრაფი რეაგირებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით **ინსტიტუტი ახორციელებს ისეთ ინოვაციურ ღონისძიებებს, როგორიცაა**:

- **მომავალ საჯარო მოხელეთა სპარინგი** – მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული შემოწმება, დახვეწა მიმდინარე წვრთნა და განვითარება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის. პარტნიორებად გამოდიან საჯარო და ბიზნეს სტრუქტურების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები და ექსპერტები. სპარინგის პროცესში მიმდინარეობს საპროექტო წინადადების კორექტირება;

სპარინგი გულისხმობს ტექნოლოგიური ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების დანერგვისათვის შექმნილი პროექტების შეჯიბრს, რომლის მიზანია პრობლემის გადაწყვეთისათვის მმართველოობითი ხასიათის ფსიქოლოგიური და ტაქტიკური ჩვევების გაღრმავება, მოდელების შექმნაში კოორდინაციისა და თანამშრომლობის ამაღლება, ცოდნის ინტეგრირებისა და ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებული უნარების გამომუშავება.

- **კრაუდსორსინგის (Crowdsoursing)კლინიკა** – პროფესიონალური დახელოვნებისა და პრაქტიკულიუნარ–ჩვევების გამომუშავების უნიკალური შესაძლებლობაა. კლინიკის ფარგლებში ბაკალავრიატის მაღალი კურსის სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები ორგანიზებას უწევენ საზოგადოების შეხვედრებს ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნეს სტრუქტურებთან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაწყვეტილებათა მოსამზადებლად;

მოქალაქეთა უფასო დახმარების პროცესი რეალიზდება საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში გასვლითი ღონისძიებებით, ზეპირი კონსულტაციებით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვით, საქმიანი დოკუმენტაციის გაცნობითა და შესაბამისი განცხადებების შედგენით.

კლინიკის ფარგლებში ხორციელდება **მედიაცია,** ანუ იქმნება გარემო მოლაპარაკებების, საჯარო სტრუქტურებთან მოქალაქეთა კომფორტული კომუნიკაციისა და ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტილებების გამომუშავებისათვის.

კლინიკის ღონისძიებები ხელს უწყობს არჩეული პროფესიის პატივისცემას და პასუხისმგებლობის ფორმირებას.

ინსტიტუტის სტრატეგიულ განვითარებას მეთვალყურეობს **რეფერირების საბჭო,** რომლის შემადგენლობაში არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები, უცხოელი წევრები და საჯარო მმართველობის ექსპერტები.